წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _ გელა აბულაძე
თანამდებობის დასახელება_ საკრებულოს წევრი.
ფრაქციის დასახელება ___ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის".
კომისი(ებ)-ის დასახელება- საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -მაჟორიტარული, წალენჯიხის 68.01ოლქი.
საანგარიშო პერიოდი_ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 23

საკრებულოს სხდომებზე დასწრება ____ 14

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 20 მ/შ დროებითი კომისიების _

კომისიის სხდომებზე დასწრება ___7 მ/შ დროებითი კომისიების _

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _12

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _ 6

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
6.სოც.დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებიდან წარჩინებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება . მრავალშვილიანი ოჯახების თითოეულ ბავშვზე დაფინანსების 30-დან 50 ლარამდე გაზრდა და სხვა საკითხები...

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _26 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -740.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები - ქ.წალენჯიხაში სხვადასხვა ლოკაციაზე სპორტული მოედნების მოწყობა, ქ.წალენჯიხაში და ქ.ჯვარში საკანალიზაციო სისტემის მოგვარება. ქ.წალენჯიხაში ასფალტო-ბეტონის საფარის გარეშე არსებული ქუჩების მოასფალტების საკითხის გადაწყვეტა..

ქ.წალენჯიხაში სხვადასხვა ლოკაციაზე სანიაღვრე არხების მოწყობა. ზღვაიას ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხი.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა პრობლემების გადასაწყვეტად საკითხის დასმა. მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმირება მოსახლეობაში არსებული პრობლემებს თაობაზე. დადებითად გადაწყდა ზღვაიას დასახლებაში და ქვედა მაზანდარის უბანში სპორტული მოედნის მშენებლობა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" წევრი, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 12 ფრაქციის სხდომა. აქედან ვესწრებოდი 6 სხდომას, ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები. დასახული იქნა მათი გადაწყვეტის გზები. ფრაქციის სხდომებზე მოსმენილ იქნა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" საბავშვო ბაღებში ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით მიმდინარე საკითხები, მიღებულ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს.

შევსების თარიღი 31/10/2022 წ.

წარდგენის თარიღი 31/10/2022 წ.

ხელმოწერა